


მეტროპოლიტენი

მთავარ კომიტეტის ორგანო



გაზეთი „საქართველო“ ღირს

თვეობრივად 200,000 მან.

ცალკე ნომერი ჯვრულად 10,000 მან.

რედაქცია და განტორი: ტფილისი, ხახულის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10-84 — ფოსტის ყუთი, № 190.

გაწესდების ფასი:

1 გვ.	100,000 მან.
4 „	50,000 „
საგადასახადო	საგადასახადო
1 გვ.	800,000 მან.
4 „	500,000 „

№ 451

კვირა, აპრილის 22

1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000

დღემდე შეუნიჭა და სერგო ბოლქვაძეები შეიღებულთ, ბიძა ვასო და ბიძოლა ნატაშა ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირის აპრილის 22-ს, დილის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადასდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუფიცარი

პანაშვიდი

სკლის მოსახსენებლად

№ 410-1-1

რუსთაველის თეატრი

კვირას, აპრილის 22-ს, მსახიობ

ალისა ქიქოძე—აბაშიძის ხალაშო. წარმოდგენილი იქნება

რეზანო

როტა კავალინი—ალ. ქიქოძე.

ორშაბათს, 23 აპრილს, საღამოს 5 საათზე

სახალხო სახლის დარბაზში

(ყოფილ. ზუბალაშვილის სახლი) შესდგება გვილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

ამავე რიცხვს ამავე შენობაში საღამოს 7 საათზე შესდგება საბჭოს პლენუმის სხდომა.

საკითხები:

1. საბინაო პოლიტიკა.
2. მოხსენება აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მოხსენება კომპარტიის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი.

№ 321-2-2

პირველი გაიგნოსი

პირველი მაისი მშრომელთა დღესასწაულია. პირველი მაისი მშრომელი ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩებში წითელი დროშით, რომ თავისი ძალა და ნაზხა ამა ქვეყნის ძლიერად.

თუ ოდესმე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი მაისის დღესასწაულს, მათ უფრო მნიშვნელოვანია იგი დღეს, როდესაც შრომისა და კაპიტალის შორის გამართულია გენერალური ბრძოლა. დღეს უკვე მუშათა კლასი გაბედულად გამოდის ქუჩებში წითელი დროშით, მას უკვე ხელთ უპყრია მთელი მსოფლიოს მეექვსედი და ყველა იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს მშრომელთა სახელმწიფოებს. საბჭოთა რესპუბლიკებს.

წელს პირველი მაისის დღესასწაული ორ სურათს წარმოადგენს. პირველი გადაშლილი იქნება სოციალისტურ სახელმწიფოთა ფარგლებში, ხოლო მეორე ბურჟუაზიული ქვეყნების სამეფოში. პირველის მიზანი იქნება დაცვა და გამტკიცება საბჭოთა წყობილების, მეორეს კი დამხობა და განადგურება ბურჟუაზიული წყობილების.

გასულ წელს პირველი მაისის ზეიმი იმართებოდა იმ პერიოდში, როდესაც გენერალ კონფერენციამ პირისპირ წარმდგარი იყო რეაქცია-რევოლუციის მოციქულები, როდესაც „კრემლის ყაჩაღებს“ საუბარს უმართავდნენ „კულტურტრეგერებს“ დასავლეთისა და ცდილობდა მის გამოყენებას თავისი შავი მიზნებისათვის.

თუ ერთი მხრით დიდი იყო რწმენა რეაქციის მოციქულთა მათთან ურთიერთობის გარეშე საბჭოთა ქვეყნების დამხობისა, მეორე მხრივ დიდი იყო იმედი რევოლუციონერ ბრძოლის ცეცხლში გამოპრქმედილი ხალხისა, რომ იგი არაფერს დაუთმობდა მტერს და უიღბურესი ვაჭარების ატანითაც კი დაიცავს რევოლუციის მონაპოვართ.

გენუაში დამარცხებული რეაქციის ვირთხები დასასვენებლად პერიოდს ზომავდნენ და ფიქრობდნენ, რომ არ ერიო ქვეყნის მმართველთა.

აქო გოდება

ჯერ კიდევ კარგად ვერ მოუკიდნია ფეხი დედაქალაქში სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და პროვინცია—იმერეთი უკვე გაიძახის დაცალკედა ქუთაისი. „ტრიბუნის“ კორესპონდენტი იმასაც არ ზეარავს, რომ ძველი რეგიონის დროს ქუთაისი თუ იყო ბუდე ქართველი ინტელიგენციისა, მიზეზი ყოფილა ტფილისის ბურჟუაზია, რომელიც ერეკებოდა პროვინციელებს, რათა ანაც ტფილისის ცხოვრება უფრო ეპყრა ხელთ. ისტორიულადაც ასე ყოფილა. არაბთა ზე-ხელმწიფობის დროს, ვიდრე ქართველი ხალხი 1123 წ. გაათავისუფლებდა ტფილისს არაბთა უღლისაგან, ქართველობა ბუნებრივად თავმოყრილი იყო აფხაზეთის ცენტრში ქუთაისში (დასავლეთ სა-ქართველოს მაშინ აფხაზეთი ეწოდებოდა) მაგრამ მრავალი ფაქტია იმისა, რომ ტფილისშიაც იყო დიდძალი ქართველობა, რომელსაც მარჯვე წუთი აღიქვამდა, რომ არ ერიო ქვეყნის მმართველთა.

დენს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში დაემხო ბოლა საბჭოთა რესპუბლიკები.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ბრძენ პოლიტიკოსთა აღნიშნული რეცეპტი უსაფუძვლო გამოდგა და სასიკვდილო ბაცილებით უფრო მეტად დაავადმყოფებული შეიქმნა ექიმი, ვიდრე პაციენტი.

საბჭოთა რესპუბლიკები, მიუხედავად ევროპის კაპიტალის გამოყენებისა არ დაეცა და წელსაც, გენუასაგან ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი ისევ მალა ასწევს წითელ დროშას პირველი მაისის საზეიმოდ და დაინახვებს თავის მტრებს, თუ რამდენად ძლიერია მშრომელთა ნებისყოფა თავისი სახელმწიფოს დაცვისათვის.

პირველ მაისს საქართველოს მშრომელი ხალხი ორმაგად იდღესასწაულებს, რადგან იგი რევოლუციით დაინტერესებულია არა მარტო კლასობრივად, არამედ ეროვნულადაც.

ეროვნული თავისუფლების ჩირადანი ამობრწყინდება არა რეაქციის ბნელი ჰორიზონტიდან, არამედ რევოლუციის გარიჟრაჟიდან.

საქართველოს ეროვნულ-კულტურული და სოციალ-პოლიტიკური აღორძინება მჭიდროდ დაკავშირებულია პირველი მაისის იღვასთან საერთოდ და რუსეთის რევოლუციის მსვლელობასთან კერძოდ.

პირველ მაისს ქვემარტივ რევოლუციონერი და სოციალისტი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ საერთო ხმით შესძახოს ძველ სამყაროს—მოღის ახალი ქვეყანა თავისუფლებისა და თანასწორობის, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრისა და სამართლისად განადგურების.

უნდა ვეშალოთ ამ გამოსვლისათვის, უნდა ვიმუშაოდ მისთვის.

თვის დედაქალაქს დაქერა. ეს გარემოება აისხნება, რასაკვირველია, ხალხის სიმრავლითაც, რათა ნაც არა თუ იმ დროს, ე. ი. მეთერთმეტე და მეორემეტე საუკუნეში, არამედ მეთოთხმეტე საუკუნეშიაც კი ქართველი ხალხი აღმოსავლეთ საქართველოში ოთხ მილიონ ნახევარი აღმოჩნდა მუღალთა მიერ აღწრის შემდეგ. რუსთა ხელმწიფობის დიქარების ეამს ქართველობა ერთბაშად შემცირებულ იყო შემოსეულ მაჰმადიან ურდოთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლით, მაგრამ ას ჩვიდმეტე წლის მშვიდობიანი ცხოვრებით ქართველი ხალხი ისევ გამრავლდა. ერთი ავტორი, გვარი აღარ მახსოვს, ვაზ. კვალში ამტკიცებდა, ქართველი ხალხი მეცხრამეტე საუკუნეში ერთი ექვსად გამრავლდა. სახელმწიფოებრივი ცხოვრება 1918 წლიდან განახლდა ბუნებრივად ტფილისში თავმოყრილ, რათა ანაც აღარ იყო

არც პოლიტიკური, არც ეკონომიური ფაქტორების ისეთი ძალა, რომ ქართველი ხალხის დენა დედა ქალაქსკენ ხელუფლებრივ შეეფერხებინა. ხალხის დენა განსაკუთრებით დასავლეთიდან ებლაც სწარმოვს და ასე იქნება დიდხანს, ვიდრე ზედმეტი ხალხი არ გადმოვა აღმოსავლეთში, რომ მათ შორის განათლებული ჩაებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ხოლო დანარჩენმა დაარსოს ახალშენები. ამ მოვლენას ყოველი ქვემარტივ მოყვარული ქართველი ხალხისა უნდა შეჰხაროდეს და არ სწყუბდეს.

ქუთაისის დაცლა თუ მართლა ისეთია, როგორც კორესპონდენტი ავგვიერს, სამწუხარო ამბავია და საჭიროა დაუყოვნებლივ ზომები მიღებულ იქნეს. მაგრამ დაცლას ვერ უწოდებთ, როცა სამხედრო სააღმინისტრაციო საპედაგოგო თუ საზოგადოებრივ საფინანსო დაწესებულებანი ყველა უკლებლივ მოქმედებს. დედაქალაქს კერძო პირთა, თუ გინდ ოჯახების გადმოსვლა ქუთაისის დაცლას არ ჰნიშნავს. ინტელიგენციის მომავალ კადრებს გააჩნს სწავლა განათლების საქმე, რომელსაც იმერეთში ისე ეტანება, ხოლო საშუალო სკოლების სიმრავლე შექმნის მაღალი სწავლისთვის მოსწავლეთა საჭირო კომპლექტსა, რომლისთვისაც ახალი მაღალი სკოლა დაარსდება ან ქუთაისში, ან ბათუმში. რა კი საჭიროება მოითხოვდა მეფობამეტე საუკუნეში სტამბა წესსა (რაცა) და ჯრუჭში (ზემი იმერეთი) იყო, დღეს მეოცე საუკუნეში კი ასეთი საკეთე საქართველოს სოფლებისთვის მხოლოდ სანატრელია.

ხალხია ზღვა, რომელსაც სრვევია უაუშაციო და მიქცევი. დიდი იყო, როცა ჩვენი ხალხის დენა აღმოსავლეთიდან ზღვამ და კავკასიონის ქედმა შეაყენა, ეხლა კი დენა იწყო ისევ აღმოსავლეთისკენ და ხალხის ასეთი მოძრაობას ჩვენ გვმართებს სული ჩაუდგათ, კი არ ჩავპკათ. მოშენეობისთვის ჩემს ერთ წერილში, რომელიც ამავე „ტრიბუნაში“ მქონდა მოთავსებული, ვამბობდი, მთავრობამ მარტო ხალხის შინაგანი მოძრაობის საქმე კი არ უნდა თავს იდოს, არამედ სპარსეთ ოსმალეთ ჩრდილოეთ კავკასიიდანაც უნდა დააბრუნოს სამშობლოში ბედ-უკუღმართობის მიზეზით გადახვეწილი ქართველობა მეთქი. ეხლა გამოდინა და მოსთქვამენ, როგორც დიდი უბედურებას, პროვინციიდან ცენტრისკენ ხალხის დენის ამბავსა. პარტიკულარიზმი ისტორიულად სჭირდა ლიხთ ამიერ თავიდანვე კახეთს მეთხუთმეტე საუკუნეში სამცხეს, ხოლო ლიხთ იმერეთსა. კახეთი და სამცხე გონს მოვიდა, ხოლო იმერეთი კიდეც განაგრძობს. თავის ისტორიულ პარტიკულარიზმს, რომელმაც ისეთი დიდი როლი ითამაშა მეთხუთმეტე საუკუნეში მით, რომ ქვეყნის მოქირანახლე პირთა მოღვაწეობით გაერთიანებული საქართველოს დანაწილებას ხელი შეუწყო.

პეტრე მირიანაშვილი.

შენიშვნა. როგორც აღნიშნულ კორესპონდენციაში, რომელსაც იხება ავტორი, ისე ერთ-ერთ მეთაურში „ქუთაისის“ სრულიად არ ყოფილა გატარებული პარტიკულარული მხედველობა, საუბარი იყო მხოლოდ კულტურული ძალების პროპორციულ განაწილების შესახებ. რედ.

სახალხო-სახლის დარბაზი

საზრის ოქტის ოქტაბრია

შეტაკება უმუშევრებთან.

ბერლინი. 18 აპრილი. უმუშევართა დემონსტრაცია ესენში მშვიდობიანად ჩატარდა. მიულ-ჰეიმში კი უმუშევართა შორის მღელვარება ჩამოვარდა. უმუშევრები ცდილობდნენ იერიშით დაეკავათ გერმანიის სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაკავებული მუნიციპალიტეტის შენობა. შეტაკების დროს მოკლულია 1 მუშა დაჭრილია მძიმედ—2, და მსუბუქეთა 18. აღწერილობა ბრძომა პოლიციელები ფრანგების პატრულისთვის გასცა.

პროლეტარული სოლიდარობა.

ბერლინი. 18 აპრილი. ნიშნად პროლეტარული სოლიდარობისა, გამზურგის ნავთსადგურის მუშებმა დაადგინეს უფასოდ გადმოტვირთონ რუსეთის პური, რომელიც იგზავნება რურის მუშებისთვის.

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი. 17 აპრილი. რურში ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს ორივე მხრივ. ფრანგებმა დაიკავეს რურის გზის მნიშვნელოვანი რაიონები ნარაუს და ემსონ შორის და გარეკეს ყველა რკინის გზალები. გერმანიის პრესის ცნობით დისკუსი ფრანგებმა გადასახლეს რურისა და 20 000 რკინის-გზელი. ამას გარდა ფრანგები იკავებენ ნახშირის ახალ მაღაროებს და ითვსებენ უმუშევართა დახმარების ფონდებს.

რკინის გზის სადგურების დაკავება.

ბერლინი. 17 აპრილი. ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობით, რურის რკინის გზის 206 სადგურიდან, ფრანგების მიერ დაკავებულია 178.

უცხოეთი

საფრანგეთი პროტესტს აცხადებს

ბერლინი. 20 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ ანგორის მთავრობას ჩესტერის კონცესიების გამო გაუგზავნა ისეთივე შინაარსის პროტესტი, როგორიც შეერთებულ შტატების მთავრობას. თავის პროტესტში ამერიკის მიმართ, საფრანგეთის მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ დაუპყრს მხარს იმ მოქალაქეებს, რომლებიც არღვევენ სხვა ერების უფლებებს და იღებენ იმ კონცესიებს, რომლებიც სხვებს ჰქონდათ გადაცემული.

მოკავშირეთა კომისიების გამგზავნება

პარიზი. 20 აპრილი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისის და საფრანგეთის უმაღლესი კომისიები სტამბოლიდან გაემგზავრნ ლოზანაში.

მოკავშირეები შეთანხმებული არიან

პარიზი. 20 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით ლოზანას კონფერენციაზე დელეგატთა გამგზავრებულმა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რომ კამათი სტამბოლის ოქუპაციის შესახებ მწვავე ხასიათს მიიღებს. ამასთანავე მან სთქვა, რომ მოკავშირეები შეთანხმებული არიან ყველა იმ ფინანსურ-ეკონომიურ და ოფიციალურ კითხვებში, რომლებიც ახლო აღმოსავლეთს შეეხება.

იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობა.

რომი. 17 აპრ. მილანში გაიხსნა იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს კომპარტიისთან გაერთიანებისა და კომინტერნისადმი მიმხრობის საკითხი. ყრილობის თავმჯდომარემ ლეპარი წაიკითხა კომინტერნის აღმასრ. კომიტეტის მოწოდება ყრილობისადმი. კომუნისტებთან შეერთების მომხრემ ბაუმი მოითხოვა კომინტერნის წერილის განხილვა კომინტერნის პრინციპებისა და მე-4 კონგრესის რეზოლუციის იტალიანურ საკითხის შესახებ მიღებით ყოველივე პირობის გათვალისწინებით.

კომპარტიისთან გაერთიანების მოწინააღმდეგე მელა წინააღმდეგა იმდენად მიღებულ იქნეს რეზოლუცია კომინტერნთან შეერთების შესახებ იმ პირობით, რომ პარტიას შერჩეს ძველი სახელწოდება და ავტონომია ეროვნულ საკითხების გადაწყვეტაში.

ველოა წინააღმდეგა კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანებისა. ბუფონი და რობოლინი წინააღმდეგს იმდენად გამოტანილ იქნას რეზოლუცია კომპარტიისთან ყოველ პირობის გათვალისწინებით შესახებ. კამათი ვრძელდება.

მიწის ძვრა მექსიკაში.

ბერლინი. 20 აპრილი. მექსიკიდან იტყობინებიან, რომ მთელ მექსიკის სანაპიროებზე ვერა-

კრუსა და სანაღი პორტის შორის მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რის გამოც დიდძალი შენობები დაინგრა, პროვინცია გიდალგოში გაქრა მთელი რიგი ყავის პლანტაციები. მექსიკის იმევე ნაწილში აღმოჩნდა ახალი ვულკანის კრატერი.

საფრანგეთ-უნგრეთის საარბიტრაჟო სახანაოთლო.
პარიზი, 20 აპრილი. ბულაპერტში აპირებენ საფრანგეთ-უნგრეთის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოწყობას. ამის შესახებ დელა ბურას თათბირი ქონდა გრაფ ბეტლენთან და უნგრეთის ფინანსთა, ვაჭრობის და საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

ფინეთის მთავრობის მემორანდუმის განხილვა.
ჰელსინგფორში, 16 აპრილი. ფინეთის გაზეთის „გუშუდ სტედ ბლადეტის“ ცნობით, ერთა ლიგის საბჭოში კვლავ იხილავენ ფინეთის მთავრობის მემორანდუმს იულოვების ხელშეკრულების მუხლების გამო, რომლებიც შეეხებიან აღმოსავლეთ კარელიის ავტონომიის.

სკრინინგი უარყოფს.
პარიზი, 19 აპრილი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სკრინინგი გამოვიდა ვარშავაში სიტყვით, რომელშიაც ილაშქრებდა პოლონეთისადმი გერმანიის მხრივ მტრული განწყობილების წინააღმდეგ. სკრინინგი უარყოფს ხმები, თითქმის მხად-დებოდეს პოლონეთის შეჭრა ზემო-სილეზიის გერმანიის ნაწილში.

ახალი ამბები

აფრასიონ ჯაფარიძის იუბილეხათვის. პელა-გოგ ა. ჯაფარიძის 50 წლის იუბილის მომწივობი კომიტეტის მიერ პარიზის 20. მე-15-შ. სკოლაში, მოწვეულ იქნა ტფილისის ყველა სასწავლებელთა დელეგატების ყრილობა, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ ყველა ტფილისელ მასწავლებელს პარიზის ჯამაგირებიდან დაეკისროს 3 პროცენტი იუბილარიის სასარგებლოდ.

სახელმწიფო სააღმშენებლო კომიტეტი. სახელმწიფო სააღმშენებლო კომიტეტის როგორ-

საქიროა მთლიანი ფორნტი.
გენა. 17 აპრილი. ენის საოლქო კომუნის-ტურ ორგანიზაციის პარტიკულარულ მოხსენებით პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა კორინთი, რომელშიც აღნიშნა, რომ რევოლუციონერ ორგანიზაციების ფრანკფურტის კონფერენცია გახდა ინიციატორათ კაპიტალისა და ომის საშინაოების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, მომსენებლის აზრით, მსოფლიო ფაშისტთან ბრძოლისათვის საჭიროა ბრძოლის ორგანიზაცია ეკონომიურ მოთხოვნილებებისათვის, პროლეტარიატის შეიარაღება მთლიან ფორტის განხორციელება და ენერგიული ბრძოლის წარმოება მუშათა მთავრობის შექმნისათვის.

კანადაში შესვლის აკრძალვის გაუქმება.
ბერლინი. 20 აპრილი. „კონარდლაინი“ იტყობინება, რომ კანადის მთავრობამ გააუქმა კანონი, რომელიც უკრძალავს გერმანელებს, ავსტრიელებს, ბულგარელებს და ოსმალეთის ქვეშევრდომებს კანადაში შესვლას.

საბაჟო მიმოსვლა ამსტერდამ-პარიზ შორის.
პარიზი. 20 აპრილი. ამსტერდამ პარიზ შორის მოეწყო პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა.

მსოფლიო რეკორდი.
პარიზი. 20 აპრილი. ამერიკელმა ავიატორებმა რიდე და ტილემ მიღწიეს მსოფლიო რეკორდს ხანგრძლივი ფრენით, რომელიც გაგრძელდა 36 საათი და 5 წუთი.

ნიზაციის შესახებ საკითხი გადაწყდა. დადებითი როგორგანიზაციის პროექტი შეტანილია დასამტკიცებლათ სასოფლო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში კომიტეტს ეწოდება სახელმწიფოს სააღმშენებლო მთავარი სამმართველო და შესდგება განყოფილებისაგან—საარქიტექტურო-სააღმშენებლო, გზათა აღმშენებლობა და სახელმწიფო-სააღმშენებლო, რომელსაც ექნება პირველ ხანებში კონტრები ბათონში, ქუთაისში და გორში.

ქარნალ-გაყთუპიონ

უმუშევრობა. გერმანულ პროფკავშირების უკანასკნელ ბიულეტენებში მოყვანილია საინტერესო ცნობები უმუშევრობის ზრდის შესახებ ყველა ქვეყნებში. განსხვავებული ხასიათი უმუშევრობის ზრდისა უკანასკნელ ხანებში ის არის, რომ ახლა ის გაიაფებულ ვალიუტთან ქვეყნებშიც ვითარდება. მხოლოდ ამერიკაში არის შეჩინებული რამდენიმე, მდგომარეობის გაუმჯობესება. შეერთული შტატების შესახებ, სამწუხაროთ, არ არის ნამდვილი ცნობები. კანადაში 1922 წლის იანვარში პროფკავშირების 100 წევრიდან 16 უმუშევარი იყო. ენკენის თვეში ეს ციფრი დავა—6,2. უმუშევართა რიცხვის განვითარება ამერიკაში, სპეციალისტების აზრით, კანადის მდგომარეობას შეეფერება. ევროპის კვეყნებიდან ყველაზე ცოტა უმუშევარია საფრანგეთში, რაც აიხსნება მისი არმიის სიდიდით. ბელგიასა და ინგლისში მდგომარეობა რამდენიმე უმჯობესდება. ინგლისში პროფკავშირების უმუშევარ წევრთა რიცხვი დავა 23 პროცენტთან 16 პროცენტამდე, მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ინგლისში უკვე წელიწად ნახევარი რაც ცდილობს ამოკანის შესრულებას, რათა სამუშაო უპოს ორ მილიონ ნახევარ სამრეწველო მუშის საერთო რიცხვს—12 მილიონიდან. სკანდინავიის ქვეყნებში უმუშევრობამ

მეტად დიდ რაოდენობას მიაღწია და შესდგება პროფსიონალურ—ორგანიზაციულ მუშების 36 პროცენტთან. ჩქარი ტემპით იზრდება უმუშევრობა შვეიცარიაშიც, სადაც უმუშევართა რიცხვი 3000 და (1921 წლის დასაწყისში) უტბათ გაიზარდა 100 ათასამდე. დაახლოებით ასეთივე ტემპით ვითარდება უმუშევრობა იტალიაშიც, სადაც უმუშევართა რიცხვი ამ წამით 52,000 შეადგენს 332,000 ორგანიზაციულ მუშებიდან. ჩეხო-სლოვაკიაშიც უმუშევრობა სწრაფით იზრდება და ამ წამით უმუშევართა რიცხვი 200 ათას შეადგენს. გერმანულ ავსტრიაში 128 ათას უმუშევარია და 250 ათასზე მეტი ისეთი მუშაა, რომელიც სრულ სამუშაო დროს არ მუშაობენ.

ვალის გაღება. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობამ აცნობა შვედეთ-ბელ შტატების დეპარტამენტს, რომ მას განზრახება აქვს საესებოთ გადალახდეს ინგლისის მიწერილი ვალდების ამ წლის ხევილი შეერთებულ შტატებს, ეს თანხა 23 მილიონ გირვანჯა სტერლინგიდან შესდგება.

ალბიონის მონეტები. გერმანიაში ხმარებაში შემოვიდა ალბიონის მონეტები 200 პარკის ღირებულებისა.

გაყთუპიონ

ბ ე ლ ე ზ ო ნ ი .
„სადგური“
„დიხა, სადგური“
„ნომერი 81—7.“
„დაკავებულია“
„სასწრაფო საქმეა და შემიერთეთ, საჩქაროთ“
„ნება არა მაქვს, დაკავებულია“
„შეუშალეთ ნომერი და შეაწყვეტინეთ ლაპარაკი, მე კი შემიერთეთ“
„რას ამბობთ, როგორ შეიძლება?“
„ბევრს ნუ ლაპარაკობთ და ასრულებთ რასაც გიბრძანებთ. მე პასუხისმგებელი მოსამსახურე ვარ!“
„ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენ კანონს ვერ დავარდევით?“
„მაშ თქვენ ჩემ ბრძანებას არ ასრულებთ? ძალიან კარგი. თქვენი გვარი და სახელი?“
„რაზედ დაგვირდით?“
„უნდა გიჩვეოთ უფროსთან, რომ თქვენ ვერ ასრულებთ თქვენ მოვალეობას!“
„მე ჩემ მოვალეობას ვასრულებ, ოღონდ თქვენ თვითონ არღვევთ კანონს!“
„მე ვარდევ კანონს! ეგ რაღა თავხედობაა! მე თქვენ დაგატუსაღებთ!“
და პასუხისმგებელი მოსამსახურე ჩივის ტელეფონზე უფროსს მომუშავე ქალთან. უკანასკნელი იტყვას ტელეფონისტს. მოსამსახურე არ შევიდეს და ჩივის სადგურის უფროსთან და სხ.
აქ რასაკვირველია ისტერია, სამსახურიდან დათხოვნა, კავშირში ჩივილი, ცრემლები, კავშირის პროტესტი ძალმომრეობის წინააღმდეგ და სხ.
ან და ამბობი სურათი.
იღებს აბონენტი ტელეფონის ყურმილს და ნერვიულად ურტყამს ზარს. გადის წუთები, პასუხი არ ისმის. ბოლოს ხმა:

გაყთუპიონ

დღეს 4 საათზე ცენტ. კლუბში დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის გამგეობის სხდომა.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

აფრასიონ ჯაფარიძის 50 წლის იუბილე

აპრილის 24-ს, საქართველოს დელა ქალაქ ტფილისში იმართება საიუბილეო დღესასწაული და მსახურებელი მასწავლებლის აფრასიონ კონსტანტინეს ძე ჯაფარიძის—50 წლისმოღვაწეობის აღსანიშნავად სახალხო განათლების ასპარეზზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობა სახალხო მასწავლებლის თანამდებობაზე, ეს იშვიათი მოვლენაა განათლების მუშაკთა ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მრავალგვარ დაბრკოლებებს, რომელიც ელოებოდა და ელოდება წინ მასწავლებელს პრაქტიკულ მოღვაწეობის პროცესში.

ასეთი მოვლენა შეიძლება აიხსნას მხოლოდ თავის ხელობისა და განუთხარველის სიყვარულით და იდეების დამოკიდებულებით.

აფრასიონმა სწორედ იმ დროს დაიწყო მასწავლებლობა, როცა რუსეთის განაპირა ქვეყნებში საზოგადოდ და, კერძოდ საქართველოში, შემოჭრილი იყო გამარჯვებული პოლიტიკა.

ქართული ენის დევნა სკოლებიდან, ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლება ქართული ენის დაუშვებლად,—აი რა შეადგენდა სამოსწავლო უწყების სათავეში მყოფ მოხელეების სამოქმედო გეგმის უმთავრეს მუხლს. სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორები აღნიშნული პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად სცილობდნენ მასწავლებელთა შორის გაიქცინათ ერთგული თანამშრომლები, აგენტები: ვის არ ახსოვს ცნობილი ფილიპ ლევიკი თავისი მუწუხი მეთოდით და ამ მეთოდის დამცველ-მფარველები და პრაქტიკულად ცხოვრებაში გამტარებლები—აშორდია, ენუქიძე, მკურნალი, ტერ არუთინოვი, სუდაკოვი, სემიონოვი და კამაშანია.

ვის არ ახსოვს ის იერიშები, რომელიც მიმართული იყო თვით მაშინდელი უმაღლესი სამოსწავლო მთავრობის მიერ დამტკიცებულის და ოფიციალად გამოცემულის 1881 წლის სამოსწ. გეგმის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ქართულ ენას მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი და ისიც დაწყებული სკოლებში. და აი, ასეთი კულ-შეკვეცილი გეგმაც კი არ ემეტებოდათ ქართული სკოლებისთვის მაშინდელ განათლების პირისუფლებს. სამოსწავლო ოლქის მხრუველები იანოვსკი, ზავადსკი-რუდოლოფოვი და მათი თანამშემოეები—სლოვინკები ეუბნებოდნენ დირექტორებს 1881 წლის გეგმის იუციკილად გაუქმება ჩვენ არ შეგვიძლია, თქვენ კი გეგვლებათ ფაქტურად მისი გაუქმება, მისი სრულიად მოსპობა და ამ მიზნისთვის

ჩვენი სკოლა

ა. ფორმა მოსწავლეთათვის.
სასწავლებლებში მოწვევთა შორის დისციპლინის განსხეულებისათვის და სრულ წმინდათვის ერთ ერთ მომარჯვებულ ზომად უნდა ჩითთავად მოწვევთათვის ფორმის შემოღება. ფორმის დაწესება თავის თავად ცხადია თანდროულ საზოგადოებას ისე არ ეპირმშოვიდება, როგორც ეს იყო თვითმპყრობელობის დროს და არც სახელკვარი მაინცდამაინც ფორმის შემოღება, მაგრამ განვლილი გამოცდილება და არსებული სინამდვილე გვარწმუნებს ფორმის შემოღების აუცილებლობაში.

დღევანდელი ჩვენი მოწვევი მოსწავლის გარდა ყველა ჯურის, ფერის და წყლის კაცს ჰკავს, მის აჭურვებულ და თავისუფალ ტანისაცემელში. ფორმის დაწესება დიდ სამსახურს გაგვიწევს მოწვევთა გარეგნულ შნოსათვის და მწყობრობისათვის. სა-

მოსწავლო ფორმა განასხვავებს ჩვენს მოწაფეს სხვა და სხვა მოქალაქეთაგან და თავის შეკავებინებს იმ დაბაზებისაგან იმ უწყის და ორის ტარებისაგან, რომელსაც ასე თუ ისე დღეს აქვს ადგილი ჩვენს მოწვევთა სინამდვილეში.

ფორმის შეტანა სასწავლებელში ისეთივე სა-დისციპლინო ნაბიჯი—ზომა იქნება, როგორადაც

კოედა შებრუნებული კუდი. როგორც ცნობილია, კომეტის კუდი ყოველთვის მიმართული არის მზის საწინააღმდეგო მხარეს. ამ ყმით ასტრონომები გულმოდგინეთ უთვალთვალებდნენ კომეტას, რომელიც პირველად ვალტერ კადემ შენიშნა 1922 წლის ოქტომბერში. როდესაც კადემ ნახა ეს კომეტა, მას კუდი არა ჰქონდა, მაგრამ კომეტის თანდათან მზისკენ მოძრაობის შემდეგ, მას ესრდებოდა კუდი, რომელიც მზისკენ არის მიმართული, მაშინ როდესაც მოძრაობაში მხარეს მხოლოდ პატარა

ყოველგვარი თქვენგან დამოკიდებული ზონების მიღება: გაიჩინეთ აგენტები, დაიწყოთ ურჩი მასწავლებლები, დაიხმაცა მათი კანონმდებლობა და სხვა.

ერთგული მოხელეებიც პირისადაც ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. აღმატებას და წარჩინებას აძლევდნენ მას, ვინც აასრულებდა მათ ბრძანებს და გამარჯვებულ პოლიტიკას ხელს უწყობდა,—ხოლო ვინც არ კისრულობდა ასეთს სამარცხენო როლს და უფროსებს ბრძანად არ ემორჩილებოდა, მას ან ჩამოეჭვივებოდა მოვლოდა სამსახურში, ან დათხოვნა, ან გადასახლება, ან ერთისა და იმავე ადგილზე მიჯაჭვა.


საერთოდ უკმაყოფილოთა რიცხვი მასწავლებლებში ბევრი იყო, უმეტესობა არ იზიარებდა არსებულ პოლიტიკას, მაგრამ ისეთების რიცხვიც კი, რომლებიც ოპოზიციაში იდგნენ და სიტყვით, თუ საქმით ეწინააღმდეგებოდნენ პოლიტიკაში მოხელეებს და ქართულ ენაზე მიტანილ იერიშებს, ძლიერ მცირე იყო, სამწუხაროდ... იუბილარი სწორედ ამ მცირე ოპოზიციონერთა ჯგუფს ეკუთვნოდა. სადაც კი უმსახურნია აფრასიონს: თიანეთში, ახალციხეში, გორში და ბოლოს, ტფილისში, იგი ყველგან იტყვდა სამშობლო ენის უფლებებს და არა ერთხელ მოსვლია მას ამ ნიადაგზე შეტაკება მთავრობის მოხელეებთან—ლიჩაშვიტა, ზავადსკისთან, სლოვინსკისთან და სხ.თან, ამიტომაც მოხდა, რომ 1873 წლიდან დაწყებული 1905 წლამდე,—32 წლის განმავლობაში იგი მიჯაჭვული ჰყავდათ სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე და აღმატებას არ აძლევდნენ. და მხოლოდ 1905 წელს, როცა რუსეთის პირველი დიდი რევოლუციის ტალღები ზეგავლენით მასწავლებლობაც ამოძრავდა და მისი უფლებრივი ნორმების დაცვის საკითხი მორიგ საკითხად დისცე,—ქალაქის 3 კლასიანი სკოლის (ამ წამად მე 15 შრამის სკოლის) მასწავლებელთა კორპორაციამ აფრასიონს **ინსპექტორად აირჩია** და მაშინდელი ოლქის მმართველს ზავადსკიც იძულებული შეიქნა აღგარიში გაეწია მომხდარი ფაქტისთვის და არჩეული პირი დაემტკიცებინა ინსპექტორის თანამდებობაზე. მას შემდეგ აფრასიონი მსახურებს იმავე სკოლაში და ჩვეულებრივს ენერგიით განაგრძობს თავის მოვალეობის ასრულებას.

მასწავლებელ-ამხანაგთა შორის მას აქვს დამსახურებული საუკეთესო ამხანაგისა და მეგობრის სახელი, მოწაფეთა შორის საყვარელი აღმზრდელ-დამრგებელისა და კარგი მასწავლებლის,—მშობელთა შორის—კარგი აღმზრდის, ხოლო მშობელთა შორის წინაშე—პატრონის მოქალაქის, რომელსაც ესმის თავისი მოვალეობა და ასრულებს მას პირნათლად, სრული დარწმუნებით, რომ ამით მას შეაქვს თავისი წვლილი სამშობლოს კულტურის აღმშენებლობის დიად საქმეში.


მაშ ვუსურვოთ იუბილარი სდევრძელობა. **მასწავლებელი.**

არის ცნობილი ფორმა ჯარში. სხვათა შორის ჩვენ გვეტყვიან და მართალიც იქნებოდა, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენს მოწაფეთ ნივთიერი საშუალება არ ექნებათ ფორმა გაიწყონ, ამის შესახებ ჩვენ ვიტყვით, რომ ხელმოკლე მოწაფისათვის სხვა მოიქნება მართო ფორმის ქუდის შეძენა, რასაც ყოველი მოქალაქე აუცილებლად იძენს. ფორმა დისციპლინის თვალსაჩინო ცემენტთაგანია. „**La forme est discipline**“ ამბობს საფრანგეთის მთავრობის ჯან-ფორსი. შესაძლებელია ეს აზრი წარსულ საუკუნის შვილი იყოს და დღეს მას ჩვენში ჰკმობდეს მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ყოველივეს სარგებლიანობის თვალთახედვით მოვეკიდოთ. თუ იმევე ყველანი დავრწმუნდით, რომ მოწაფეთა შორის ფორმის დაწესება ნაყოფის მომტანია, მოწაფეთა ცხოვრებას გააჯანსაღებს კიდევ უნდა შემოვიღოთ იგი.

ი რ დ ი
ჩედაქც. შენიშვნა. მოსწავლე ახალგაზრდობის დისციპლინის და მათი ყოფაქცევის საკითხი, იმდენად საყურადღებოა ჩვენის აზრით, რომ ყველას საშუალება მისცემთ გამოსათყვან თავიანთი შეხედულება ამ საგანზედ.



**აქტაი ლეონის სახლი, რომლის ოჯახში 1921 წლ. 1 ნახ. თვის განმავლობაში მა-
ლარიისაგან გარდაიცვალა ხუთი სული: ცოლი—45 წ., 1 ვა-
ჟი—25 წ., 1 ვაჟი 21 წ. და ორი შვილისშვილი.
2) სპირიდონოვა სახლი, რომელმაც მალარიისაგან სიკვდილის
შემდეგ ოჯახში 1921 წ. შემოდგომაზე, დაანგრია სახლი
და ოჯახი და გაიქცა.
3) მალარიისაგან დაავადებულების დანგრეული სახლები.**



ამოსაზრები არხის გაყვანა საბურთალოში.

მალარია და საბურთალო

(დღევანდელ სამალარიო ყრილობის გამო.)
გაზ. „ტრიბუნის“ № 434 ში აღენიშნე ის
კონკრეტული ფაქტები და სამალარიო მუშაობის
პროსპექტივები, რომელიც ახასიათებს ჩვენი უბნის
გაჯანსაღების და მოწყობის საქმეს უკეთესი მომავ-
ლისათვის. ესაა მსურს აღენიშნა ის წარსული სა-
მალარიო ნაბიჯები, რომელიც გადადგმული იქნა
საბურთალოზე ამ ავადმყოფობის შესასუსტებლად.
დღეს დღეა ქალაქში მოწვეულია სრულიად
საქართველოს პირველი სამალარიო ყრილობა. ეს
ყრილობა ყველაზე უფრო საგულდისმნა ჩვენი თვის,
განაპირა და სოფლებში მცხოვრებ მუშებისათვის.
ციტე-ცხელზეა ეს ჩვენი ხალხის ნამდვილი სოცია-
ლური და ნაციონალური უბედურება. ყველაზე
უფრო ის ემტრება გარეთა უბნებში მცხოვრებ-
ლებს და კიდევ უფრო სიოფლის მუშებს. მალარია
დაავადდა და გააღატაკა ჩვენი ხალხის დიდი ნაწი-
ლი, მან ფეხი მოიკიდა და გავრცელდა იქაც კი,
სადაც ის წინედ სრულებით არ იყო გავრცელებუ-
ლი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას იძლევა სა-
ბურთალო და მეც მინდა ამ წერილში მკითხველს
ყურადღება საბურთალოს მავალითზე მივაქციო.

საბურთალო, რომელიც უმთავრესად ღარიბ
მუშა-მოსამსახურებელთა დასახლებული ტერიტორიის
ერთ-ერთ საუკეთესო უბანს შეადგენდა ერთ დროს.
ბინების კრიზისის გამო ქალაქში ბევრი მიისწრა-
ფდა განაპირა უბნებში და ყველაზე უფრო დიდი
მისწრაფება კი, როგორც საუკეთესო ნაწილისკენ,
იყო საბურთალოსკენ; აქ ღარიბი ხალხი აწყობდა
თავის ცხოვრებას. ეს გარემოება ქალაქის ბინის
კრიზისის საკითხის გადაწყვეტასაც ეხმარებოდა
ერთგვარად; ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა
ინიციატივით ეს უბანი თანდათან ქალაქს კულ-
ტურულ უბნის სახეს ღებულობდა: გაყავდათ ქუ-
ჩები, ელექტრონი, წყალსადენი, აბანო, ბორანი და
სხვა. მუშათა ხალხის ერთ უბანში მოსახლეობა
ხელს უწყობდა მათ შეკავშირებას და ცხოვრების
კულტურულად მოწყობას 1921 წლამდე აქ აშენე-
ბული იყო 600-დე სახლი, მცხოვრებთა რიცხვი
6000 აღწევდა; აქედან ნახევარზე მეტი სხვა და
სხვა ქარხნების მუშებს შეადგენდა. იმპერიალის-
ტურ ომის შედეგებით გამოწვეულმა გამწვავებულმა
მალარიამ არც საბურთალო დაინდო; ის საშინლად
გავრცელდა 1921 წლიდან. ამ წლის შემოდგომაზე
ავად გახდა მალარიით მთელი საბურთალო, არ
დარჩენილა არც ერთი კარგა მყოფი. თავისი მძიმე
ხასიათით და სიკვდილიანობით მან ხოლერის ეპი-
დასა კი გადააქარბა. სულ ორი თვის განმავლობა-
ში გარდაიცვალა მალარიისაგან 500-მდე კაცზე მე-
ტი, დამარხვას რომ ვერ ახერხებდა ხალხი—იქვე
მინდვრებში ასაფლავებდნენ.

ამ გარემოებამ საშინლად დააშინა ხალხი და
ბევრი გარბოდა საბურთალოდან, მიატოვეს წლო-
ბით აშენებული კერა, სხვები ანგრევდნენ სახლებს

და ჩარჩები სარგებლობდნენ ხალხის უბედურობით
და სულ იაფ-ფასებში ხელში იგდებდნენ დანგრეულ
სახლების მასალას. ასე დაანგრეს 72 სახლზე მე-
ტი; გაიქცა 2500 მცხოვრები, განახევრდა საბურ-
თალო. დარჩენილი ხალხი ყველა დაავადებული იყო
და უმეტესობა ლოგინათ იყო მიგდებული, ყოველ
ოჯახში ნახავდით დასიებულიებს, ჩაყვითლებულებს,
წყალმანკიანებს, იარვებიანს. გაღატაკდა მთელი სა-
ბურთალო, ღვთის ანაბარათ შეიქმნა 300-მდე ოჯა-
ხი საშინელ სასოწარკვეთილებში იყო ჩაფარდნი-
ლი ხალხი; დაარსდა ლაბორატორია, ექიმები: ალ.
ქეიშვილი, ა. ქავთარაძის ასული, გ. მეგრებიანი,
ალ. ალექსანდროვი, ვახტ. მაჩაბელი, გ. კიკნაძე და
ვლ. ჩხაიძე დანიშნულ იქნენ ეპიდემ. საბრძოლად.
ამორჩეულ იქნა მალარიასთან მებრძოლი კომიტე-
ტი; ჩვენ ყველგან დავგზავნიდით, შევლას ვეძებდით,
მაგრამ გვეუბნებოდნენ, დიდი თანხა საჭირო, 100
კილო ქინაქინა მაინც უნდა შეიძინათ ამ თაფითვე,
ისე არაფერი გიშველით. მივმართეთ სამკურნალო
განყოფილების გაჩვენს ამხ. შ. მიქელაძეს, დავგვირ-
და შევლას. და გაგვაგზავნა ქ. ჯანმრთელობის გან-
ყოფილების გამგესთან გ. ვაწაძესთან. დაიწყო მუ-
შაობა. 1921 წ. ქრისტეშობისთვის დამლევს ორ-
სამ კაცმა ყოველ-დღე დაიწყო სიარული უბანში,
ოჯახებს სათითაოდ სინჯავდნენ, თითოედიან აღე-
ბულ სისხლს სასაგნო შუშაზე აცხებდნენ.

ვინ ხართ? ვინ გამოგზავნათ,—შევეკითხე.
—ექიმები ვართ, ჩვენი მოვედით,—მიპასუხეს;
უნივერსიტეტში ვმსახურობთ სამალარიო განყოფი-
ლებაში, ამ შემოდგომაზე კახეთში გმუშაობდით მა-
ლარიის წინააღმდეგ; იქაც ასე საშინლად მძვინვარე-
ბეს; საქართველოში ძლიერ გავრცელებულია, და-
ვიარებით, ვეხმარებით, გავიგეთ საბურთალოს ამბა-
ვი, მოვედით საშველათ.

—ქინაქინა გაქვთ? აქ ხომ 100 კილოა საჭი-
რო, მივმართეთ ყველგან, მაგრამ ძნელი საშოვია!—
გამოველაპარაკე... ძლიერ ცოტა დავარიგეთ ქინა-
ქინა.

—გავეცნობით დაწვრილებით აქაურობას, გა-
ვაცნობთ მთავრობას და იმედია ქინასაც მივიღე-
მბო, —ამ სიტყვებზე გულში ჩამეცინა, მაგრამ ვთხოვე
მაინც შევლა. მესამე დღეს მითხრეს ექიმები დადიან
ოჯახებში, ქინაქინას არიგებენ, პირველად იმათ
აძლიერ, რომლებიც ლოგინად არიან მიგდებული.

გამეხარდა, ვინახულე, ვკითხე—სად იშოვით
ქინაქინა, ვინ მოგვკათ?

—ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გა-
მგმ ექ. გ. ვაწაძემ.

—რამდენი კილო?

—ნახევარი კილო! მიპასუხეს. გამეცინა. საბუ-
რთალოსთვის 100 კილოა საჭირო!

—გერ ესეც კარგია. ექიმი გ. ვაწაძე ძლიერ
დაინტერესებულია თქვენი მდგომარეობით. —ჩვენ
გამოვიმუშავეთ საერთო გეგმა მკურნალობის: ამბუ-
ლატორიის ექიმები ამ რაზმის გარეშე მუშაობდნენ,
ჩვენ უშუალოდ ვიღებდით ჯანმრთელობის განყო-
ფილებიდან ქინაქინას, ხოლო სე. კანდელაკის რაზ-
მის ექიმები ამხ. ბ. ოკროპირიძე და ვერა გრინგის
ასული სისტემატურად დადიოდნენ სახლებში და
ექიმობდნენ მწვანე ქინაქინით.

ექიმები კვლავ განაგრძობდნენ ზამთარში და
ზაფხულში მუშაობას და მკურნალობდნენ დასნეულე-
ბულებს და გ. ვაწაძის შემწეობით ზოგადად
ქინაქინას.

ერთ დღეს, როცა ხალხი იყო შეკრეფილი
ამბულატორიაში, რისთვისაც ჩვენ ზაფხულში წინ ას-
წარი ზომები ქინაქინის დასარიგებლათ. მე შევეკით-
ხე რაზმის ხელმძღვანელს სე. კანდელაკს: —რა არის
საბურთალოს დაავადების ასეთი მიზეზი, 10—15
წელზე მეტა ვცხოვრობ და ასეთი ამბავი არ ახ-
სოვს არავის.

—დღეს მალარია ყველგან ძლიერ გავრცელებ-
ულია,—დაიწყო მან ყველას გასაგონათ,—ამის
უმთავრესი მიზეზი ხანგრძლივ ომიანობის მიერ
გამოწვეული ცხოვრების ცუდი პირობებია. ამ პირო-
ბების გარდა აქ საბურთალოში არის ადგილობრი-
ვი პირობებიც, რომლებშიც თქვენ აქაურ მცხოვრებ-
ლებს მიგიძღვით დიდი დანაშაულობა. თქვენ თვი-
თონ ამბობთ, რომ აქ არასოდეს არ ყოფილა ამო-
დენა კოლო, როგორც წელს. თქვენ თვითონ ამ-
ბობთ, რომ მათგან მოსვენება არ გვაქვთ. თქვენ
იცით, რომ სწორედ ეს კოლოები ავრცელებენ მა-
ლარიას. მალარია სისხლის ავადმყოფობაა. მისი გა-
მოწვევები პარაზიტები უბანი სისხლში ცხოვრობს.
საიდან შედის ის ადამიანის სისხლში, იკითხავთ
თქვენ. აი სწორედ ამ სისხლ მშოვა მწერების სა-
შუალებით. ერდგარი კოლო, რომელსაც ფრთები
წინაწლებიანი აქვს, როდესაც სწუწნის მალარიას
ავადმყოფის სისხლს, სისხლთან ერთად მის ქუპში
ჩადის მალარიის პარაზიტები (უბანი) და შეიძლება,
როცა კარგად მყოფს კენის მის სისხლში უშვებს ან
შხამს (პარაზიტებს) და ისიც ავად ხდება მალარიით.
კოლო თავის კვერცხებს სდებს დამდგარ—წყალში,
ჭაობში, კვერცხიდან გამოდის კოლოს ჭია, კიდან
ჭუპრი და ჭუპრიდან გამოფრინდება კოლო, ე. ი.
ეს განვითარება ისე ხდება, როგორც აბრეშუმის
პეპელასი, ხოლო კოლოს კვერცხს, ჭიას და ჭუპრს
უსათუოდ დამდგარი წყალი სჭირდება. სადაც ბევ-
რი ჭაობიანი ადგილებია, იქ ბევრი მალარიით და-
ავადებული ადამიანია. აი აქ ხომ ხედავთ ამ ახ-
რიოკებულ მთის სერებს, რომლებიც აკრავს საბურ-
თალოს, ეს სერები წინად ტყით იყო დაფარული,
ტყე წვიმის წყალს აკავებდა, ანელებდა და ზოგიერთ
ანაწილებდა საბურთალოს დაცემულ ადგილში;
ტყეები გაიჩნა და წვიმის წყალი ნიაღვრებათ ჩა-
მოდის აქ; ამისთვის აქ ეს თხრილები იყო გაყვა-
ნილი, რომლებიც წყალს წრტდა მტკვარში. ამ
თხრილებს თქვენ უწინ უვლიდით, სწმინდით, ეხლა
კი დაგაქცევით და უუყრადღებოთ სტოვებთ.

აი ხომ კარგათ იცით ეს პლატო,—მიათითა
დასავლეთ ჩრდილოეთისაკენ ლისის პლატოს. ეს
პლატოც ხომ უტყუო ახრიოკებულ მთის სერებითაა
შემოვლებული და წვიმის ყველა წყალი ამ სერე-
ბიდან იქ გროვდება და აქაობიანებს მას, ამიტომ
არის ბევრი იქ ტბები და ჭაობები (ლისის ტბა,
ლაპლაპას ჭაობი). ამ წყლებს შეუძლიანთ სამხრეთ-
აღმოსავლეთისაკენ დაიწვიონ საბურთალოსკენ.
ამის გამო ამ პლატოდან გამოყვანილი არხი მიდი-
ოდა პირდაპირ მტკვარში და იქ წრტდა ამ წყლებს
თქვენ ეს წყალი პირდაპირ საბურთალოზე გამოი-

ყვანეთ ბოსტნებისა და ბაღების მოსარწყავათ და
აქვე დატოვეთ, ისარგებლეთ ქირიზების (მიწიდან
ამოყვანილი წყლები) საშუალებით, აგრედვე წყარო-
ებით და ყველა ეს თქვენ ბოსტნებში ჩაუშვით
საწრტი არხები კი არ გასწმინდეთ, წყალს გასა-
შვები ადგილი არ მიეცით, დააჰაობიანეთ არე-მა-
რე; არც ბოსტნებს არგებს და თქვენც დასნეულ-
დით. ეხლა ერთად ერთი საშუალება ადგილმდებარ-
ეობის გაჯანსაღებისა არის გაკეთდეს აქ საწრე-
ტი არხები. ამის შესახებ ჩვენ უკვე მოველაპარა-
კეთ ექ. გ. ვაწაძეს, ილ. წიფწივამს, დ. ბურჯანა-
ძეს და ყოველს ღონეს იხმარენ არხების გასაჭრე-
ლად—დაათავა მან.

საბურთალოს საზოგადოებამ, მართლაც ი.
წიფწივამს (კომუნალურ განყოფილების ყოფილ
გამგის) თაოსნობით შექმნა ჭაობების დამშრობი
კომიტეტი და აპირილია აღმასკომი შეუდგა ამ არ-
ხების გაყვანას.

სულ ცოტა ხნის განმავლობაში ქალაქმა შე-
სრულა დიდი მუშაობა, რომელიც სწარმოებდა მე-
ტად მძიმე პირობებში წყალსა და ტალახში, სულ
850 კუბ. მიწის მუშაობა იყო გაკეთებული და არ-
ხების გაკეთებისთანვე წყალი დაიწრია. ექიმები
დრო გამოშვებით ასხამდნენ მათს დადგარ წყალს
და ზოცავდნენ მალარიის კოლოების ქიებს. ამ გვა-
რად განადგურების გზაზე დამდგარი საბურთალო
გამოცოცხლდა, გაქრულების ნაწილი დაბრუნდა;
მაგრამ უბანი ღატაკია. ზოგიერთი ჩარჩები დღესაც
ცდილობენ სახლების იაფად ჩაგდებას და ფულის
მოგებას. თუ 1921 წ. შემოდგომაზე 500 კაცი
პოკვდა, 1922 წ. ძლიერ მცირე იყო მსხვერპლი,
მაგრამ მუშაობა ამ მხრივ უნდა გაგრძელდეს.

გაჯანსაღება უბნის, გადასახლებიდან გაანთ-
ვისუფლება ღატაკ და ბეჩავ ხალხის მორიგი ამო-
ცანაა. თხრილების გაწმენდა და ზოგიერთ ალაგას
გაფართოვება, რომ წვიმების დროს არ გადმოხეთ-
ქოს, რაიც ხშირი მოვლენაა, ერთი სათადარიგო
არხის გაყვანა გაბაშვილის ბაღზე, ქინაქინის შოვნა
საკმაოდ, აფთიაქიდან უფასოდ დარიგება წამლები
და სხვა—ეს არის მთავარი უბნისთვის, ხალხს უნდა
დაეანახოთ, რომ საბურთალოზე გაკეთდება ბევრი
რამ, მიეჯავჯვოთ: მაგ. ბორანი, აბანო და სინათ-
ლე, რომელნიც ორ წელიწადში მოიხსნა და არც
ფიქრობს ამხზე.

მე ღრმად დაწმუნებული ვარ, რომ საბურ-
თალო ტფილისის საამაყო უბნით გარდაიქცევა ამ
რამდენიმე წელში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბურთალოს ბედი სა-
ქართველოს ბევრ კუთხეებს ეწვია და ვიმედოვნებ,
რომ დღევანდელი სამალარიო პირველი ყრილობა
გამონახავს საშუალებას ამ ჩვენი ხალხის სოცია-
ლურ უბედურებისგან დასახსნელად და ფიზიკურად
გადასარჩენად.

ვუსურვებ ყრილობის ინიციატორებთ და
წევრთ გამარჯვებას!

საბურთალოს რაიონის მალარიასთან მებრ-
ძოლ კომიტეტის თავმჯდომარე გ. მაღრაძე.

საბურთალო 21/IV 1923 წ.

გაეროვნული საზოგადოება

(პირილის 16)

ფაქტები ოსმალურ ქალაქის ღერებში.

პურის ფაქტები. „ნელსონი“ 8.75—9 ტომი, „ტომასი“ 7.50—7.75, „დურლი“ 6.80—7 ტომი, „ამზონი“ 6.30—6.50 ტომი. „ოაკ“ 8—8.50 ტომი, „მეოთხედი ტომი, რუსული „სეიანა“ 1.60—1.70 ფუთი, „ქრუსტიკა“ 1.75—1.90 ფუთი.

კოლონიალური საქონელი. გოლანდიის შაქარი რაფინადის 6.70—6.90 ფუთი, გოლანდიის ფხვნილი შაქარი 6.60—6.80 ფუთი, ამერიკის ფხვნილი შაქარი 6.50—6.80 ფუთი, ფხვნილი შაქარი. „იანკის“ 6.40—6.70 ფუთი, რუსული ფხვნილი შაქარი 6.40—6.70 ფუთი, ყავე „როი“ 26—26 ნახევარი ფუთი, გახვითი ქაღალდი 8 ფუთი, საწვრი ქაღალდი 16—18 ფუთი, ჩაი „პოპოვა“ 85—87 ფუთი, ჩაი „იანკის“ 92—93 ფუთი, ჩაი „სოსიფროსი“ 98—100 ფუთი, ჩაი „კარაგან“ № 70 92—93 ფუთი, ჩაი „კახიანი“ 105—110 ფუთი, ჩაი „ჩაქვის“ 44—46 ფუთი.

პერიცა „სინგაპურსკი“ 24—25 ფუთი, პერი-

ცა „დურსიტი“ 26—26 ნახევარი ფუთი, კაკაო 1.80—2 კილო.

საპონი „მამალი“ 23—23 ნახევარი ფუთი, საპონი „კოვი“ 23—23 ერთი მეოთხედი ფუთი, საპონი „ელექტრა“ 20—21 ფუთი, საპონი „ფრანკ“ 22—22 ნახევარი ფუთი, საპონი „უჯრული“ 19 ნახევარი ფუთი, „პარაფინის“ 3.50—3.70 ფუთი, „სარდინი“ 21—23 ფუთი, სახარინი „სოსიფროსი“ 72—74 ფუთი.

გერმანიის სახარინი 16—18 ფუთი კაკაო-ზეთი 2.40—2.50 კილო.

ტყავიულობა. საგძირე საზღვარ-გარეთის 38—42 ფუთი, საგძირე ადგილობრივი 30—32 ფუთი.

მინერალური. მინა „ბერესკის“ სამი მეოთხედი 1—1 ნახევარი პისტ. ვერშოკი.

რკინიულობა. რკინა „კოვალნიკი“ 4.75—5 ფუთი, რკინა „ფურცელური“ 4.65—4.90 ფუთი, თეთი 2—2 ნახევ. ფუთი, თეთრი ქესტი 21—22 ფუთი.

ამასთან ქვემოლი იმტყეცებდა, რომ ჰარამხანები ძველი ოსმალეთისათვის უცნობი იყო და ის იმ მომენტისადაა გაჩნდა, როდესაც ოსმალეთში სპარსეთის გავლენა და მისი ზნე-ჩვეულებანი შემოიჭრნო. ოსმალეთში და ბერძნებში ცოცხლად ამოიჩინეს ლამაზი ჩერქეზები და ქართველი ქალები. მაგრამ სპარსელები უცხოელ ქალებს ცოლ-ქმრული კავშირის მოღალატეებად სთვლიდნენ და ამიტომ ანცალკევე-ბდენ მას მკაცრად. ოსმალეთის და სპარსეთის გაცხოველებულმა სავაჭრო ურთიერთობამ გააძლიერა ოსმალეთი ჰარამხანის სისტემას, რომლის გამართლება ზნეობრივად, თუნდ რელიგიურად ყურანში სრულდებოდა არ მოიპოვებოდა. მაგრამ ეს სისტემა ოსმალეთში მით უფრო გაძლიერდა, რომ მათში უნდობლობა არის ქალისადმი და ამიტომ ჰარამხანაში დანიახეს მათ მოღალატეობისაგან თავის დაზღვევის საშუალება. მაგრამ ახლა, დაასრულა ქვემოლ-ფაშამ, სოციალური პრობლემები და ნაციონალური თვითშეგნების ზრდა მოითხოვს მთელი ოსმალეთის საოჯახო ყოფის რეფორმას და განსაკუთრებით ჰარამხანის სისტემის არქივიზი გადაცემას.

— მდ. ტიგრის ადიდებდა. მესოპოტამიაში, არაჩვეულებრივად ადიდდა მდინარე ტიგრი, რომელშიც დაფარა 300 კვადრატული მილი. ბაღდადი ყოველწლივ წყლით არის გარემოცული.

— ბანკოტი მხატვრის პორტრეტით. გერმანიაში ხმაირებაში შემოდის ახალი გერმანული ბანკოტი, ასე ათასი მარკის ღირებულებისა. ბანკოტებზე გამოხატული არის საშუალო საუკუნეების ცნობილი მხატვრის განს ფონ-გოლბერგის პორტრეტი.

სხვა და სხვა

— რა დადასტოვებდა გერმანიამ საფრანგეთს. გერმანიამ თავდაცვის მინისტრის გერსლერის ცნობით, გერმანიამ საფრანგეთს გადასცა სულ 5 მილიონ თოფსა და კარაბინაზე მეტი, 105 ათასი ტყვიის-მფრქვეველი, 28 ათასი მინის მსროლელი, 5 ათასი სხვა და სხვა კალიბრის ზარბაზნი, 28 ათასი ლაფეტის, 39 მილიონი არტილერიის ყუმბარა და მინა, 16 ნახ. მილიონი გრანატა, 14 ათასი პერკოპონი და 28 ათასი მორტარი საპაერო აპარატებისათვის.

— რადიოს მხოფელი მარაგი. პეტროგრადის რადიო ინსტიტუტმა მოახდინა მთელი ლითონის რადიოს აღრიცხვა, რომელთა მიღებაც კი არის შესაძლებელი მსოფლიოს ყველა რადიოს მადნებიდან, ახლად აღმოჩენილი კონცხის და მადნაკასარის მადნების ჩარიცხვით. თანახმად ინსტიტუტის გამომგებარებისა, საერთო მსოფლიო მარაგი რადიოსა სულ ერთ კილოგრამს აღწევს.

— რადიოს დამუშავება. პეტროგრადის რადიო-ინსტიტუტი აწყობს რადიოს ქარხანას, რადიოს მადნების გადასამუშავებლად. ერთი გრამი ლითონის რადიოსა მიღებული იქნება 15,000 გრამი გადამამუშავებულად მადნიდან.

ოსმალური ქალები. ბრუსელში ქვემოლ-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ჰარამხანები თანდათან ქრება ოსმალეთში; ასეთი მოვლენა მისასალმებელი არის, რადგან დადგა მომენტო, როდესაც ოსმალურ ქალს შეუძლია დაიწყოს ბრძოლა თავის უფლებებისათვის, როგორც თანასწორუფლებიანად ადამიანად, თავის ქმართან ერთად.

გიგლიოგრაფია

ფურნალი „გა-ელკიანი“. საქართველოში დიდ ხანი არ არის, რაც დაიწყო ხელოვნების რენესანსი. პოეტმა გააკო გაუტყუთელი ატმოსფერა და თავის მეტაფიზიკური ემოციებით ცისფერ ქსელში გახვეული აპკრა უმალეს ლიცენციის წიაღში. ბევრი დარჩა „შტატს“ გარეთ. ბევრმა ბუღბუღისტმა აიღო ახალი პოეზიის ლორწო და მონაკლით უნდოდა შეცნაურება ფერებისა, მაგრამ ვერა გა არჩია და თავი დაანება.

პოეტისთვის საჭირო გახდა ახალი სიტყვის ძიება და ჩონჩხთა მწყობრი დალაგება თავის ორგანულ რითმებში. გაფართოვდა ესტეტიკური გრძნობა ფერების დისონანსით. ხელოვნება გაიყო ორ ბანაკად. ერთს წარმოუდგენია პოეტი როგორც სულიერი შემოქმედების მამა და მეორეს, ერთ-ერთი კრიტიკოსის არ იყოს, პოეტი როგორც ეკონომისტი. პირველმა გაიმარჯვა და დაიპყრო ახალი სამყარო პოეზიისა; და მეორეს, რომელსაც სიკვდილის ნიშნები დაეტყო ნაშთების სპირტით უპირებენ გამობრუნებას. ქართული პოეზია დადგა განახლების გზაზე, ტვილისი გარდაიქცა პოეტების რეზიდენციად, რომელმაც ცეცხლიან ქუთაისს წაართვა პირველობა ალბის პლაგიატორებით. არ სძინავს პროვინციის სხვა ქალაქებსაც. ასეთია ზუგდიდი, კულტურულად და ეკონომიურად ცენტრი სამეგრელოსი, რომლის ნაქურდი ბრილიანტები ამშვენებს თვით მთავარ ქართულ პოეზიის ტაბრეტებსაც. (რასაკვირველია საშინაოდმდეგო არაა გვაქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს).

გორაკი სააკაძის სისხლიანი ხმალი, ვარდან დადიანის მიწანტროვილი სახე, გოგია კლანდია; გიორგი მიქავა, ტარიელი და ნესტან დარეჯანი თხის რქებზე მოსიარულენი, ჩაფუნა და პარამიდები თავზე სოლომონ ამოკლდია. აი ახლოვდება პორტრეტის ქალაქ ზუგდიდისა. სურათები ფერადი პორტრეტისა უსრული პეიზაჟით, აბსოლიუტური თავდებია იმის, რომ ზუგდიდსაც შეუძლია შესა-თავისი პოეტური საშოლანი, როგორც პოეზიით

აღსავეს ქალაქს თუ გენიოსი არა—ქეშმარიტი პოეტი. იქნება შესაძლებლობა და არა სადარა, რომ ეს ქალაქი დადგეს ზემო ხსენებულ ქალაქთა რიგში. ახალს ქართულს პოეზიას აქ პირველად გამოეხმაურა წმინდა ლიტერატურული გაზეთი „ავრორა“ (აბო კოპახიძის რედაქტორობით გამოცემული), რომელმაც თუმცა დიდი პატივი და ღირსება ვერ მოიპოვა საქართველოს მასშტაბით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სიტყვა თავის ამავე და გაბედული სიტყვა, რომელიც ცდილობდა თავი დაეხსნა ყოველგვარ ფილისტერობისაგან და შაბლაში-საგან. ამ გაზეთის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდათა კოლექტივმა თავის სიტყვა გაამართლა თვით ამ გაზეთით და შემდგომ გაზეთ ოდითში, რომელიც აგრეთვე ზუგდიდში გამოიცა. იმ ახალგაზრდათა ეგრეთ წოდებული „სიმბოლისტთა ჯგუფი“, რომელიც უნდა ითქვას იმყოფებოდა და მოქმედობდა „კისფერ ყანწულებთან“ ახალი ცეცხლის გაკვლის ქვეშ—დაიშალა და ქალაქ ზუგდიდშიაც შესწავდა ყოველგვარი ლიტერატურული მუშაობა. ამ მოკლე ხანში ახალგაზრდა პოეტთა კავშირს გამოუცია ფურნალი „გა-ელკიანი“, რომელიც შემთხვევით ჩამოვარდა ხელში. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ფურნალი შაბლონური შინაარსისა და გეჟი არ არის ფილისტერულიც.

ასეთი ხასიათის და შინაარსიან ფურნალის გამოცემა „ავრორა“ და „ოდისი“ შემდეგ ქალაქ ზუგდიდისთვის და მის ახალგაზრდობისათვის, ჩემის აზრით, სამარცხვინოა, იმ ხალხის წინაშე, რომელიც უკვე გამოსულა სამწერლო ასპარეზზე, მე მამოქმედებს გულ-ახილობა და არა წვრილმანი კრიტიკანობით კერძო ინტერესი. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შემიძლია თავი გავიმართლო:—მოყვარეს პირნი უძრავ და მტერს პირს უკანაო. ფურნალიში მონაწილეობენ ახალგაზრდა პოეტები: ზეფრაშვილი, ცაბუშვილი, საშაშვილი, რაში და კვარაცხელია. ფსევდონიმებიდან სჩანს, რომ ეს ახალგაზრდები ჯერაც ვერ განთავისუფლდნენ ბუღალ დახატვებულ პოეზიის ძველ ტრადიციულ

ზნე-ჩვეულებიდან. ფურნალი იხსნება დ. ზეფრაშვილის წინასიტყვაობით, რომელიც არავითარი საყურადღებო არ არის, ვინაიდან მარტო ის ახარებს ამ ახალგაზრდობას და მათ მებაიარებრებს, რომ გამოცეს ეს ფურნალი და ამით ააფრიალეს „ახაკას“ (ორგინალი მათ ეკუთვნის) ლამაზი დროშა. ფურნალი გრძელდება იმავე ზეფრაშვილის ოთხი ლექსით. ოთხივე ლექსში გამეტირებულ უმინუზოდ მტრად ბავშვით გულ აუფრებული ცრუ სენტიმენტალიზმით მოსთქვამს ავტორი იმგვარ აზრებს, იმგვარ სიტყვით და კილოთი, რომელიც ქართულ პოეზიას ორასჯერ გადაუხარშავს. ცუდია აგრეთვე ამ ლექსების სტილი და ტენიკა, რომელსაც უფრო შაბლონის დახურდავება ეტყობა. ვინემ სახლის ელვერი. რასაკვირველია სენტიმენტალური და ცრუ გრძნობით ატირებდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყველა მის ლექსებზე უფრო მაღლა შეგვიძლია დავაყენოთ „მე და ლანდი“.

სხვებთან შედარებით არა უშავს მ ტაგებს: „ვანაობ, ვანაობ ტრფობის ბაღში მოღალატე რისთვის მყვანდი. გულს კუბოთი წაგასვენებ მე და ლანდი მე და ლანდი.“

შემდეგ მიდის საშაშვილის ლექსი: ნეტავ იმ წუთს და შავი ღრუბლები. რასაკვირველია ზედმეტი იქნება იმ პოეტზე ლაპარაკი, რომელიც თავის პირველ ლექს ანგვარად იწყებს:

„ნეტავ იმ წუთს ოდეს ტკბილად შემოგყურებ შავ თვალებში ძალას მიკრებს ნეტარება თვალს ვარიდებ წამწამებში.“

აღსანიშნავია ამ ფურნალში ახალგაზრდა პოეტი ცაბუშვილი, რომელსაც, ასე თუ ისე, ახასიათებს მისწრაფება სიბაღისკენ; მაგრამ ეს უკანასკნელი მისთვის მიუწოდებული რჩება. არ ვიტყვი, რომ პოეტის ემოციონალური გრძნობა და ინტუიკია „ძარღვ მაგარი ერუდიკით“ დაიჩრდილოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა უფრო მეტი გაგება და პოეტური შეგრძნობა ყველაფრის, რასაც იტყვი და აზრობ. „ხარი ხართან რომ დააბა ან ფერს იცვლის ან ზნესია“, ეს ანდაზა მართლდება ცაბუშვილზე და მის ლექსებზე. პირველი ლექსი „სიყვარულის საბუღარი“ პლაგიატორებაა და გრიშაშვილის კაპეიკიანების მანეთიანებათ დახურდავება; რაც გაუნადგებელია და ამავე დროს პოეტისთვის სამარცხვინო. მისი მეორე ლექსი „ანის“ ყოველ მხრივ გაცვეთილია და ბანალური:

ჩემო ანო
ეშხიანო

ხელოვნება

მსახიობ ალ. ქიქოძე აბაშიძის საღამო. კვირას, აპრილის 22-ს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ალ. ქიქოძის საღამო. წარმოგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ შელდინის პიესა „რომანი“, რომელიც საგანგებოდ გადათარგმნა ს. დადიანმა. რიტა კავალის როლს შეასრულებს ალ. ქიქოძე.

გაზეთი „მწვერვალი“ რედაქციამ მიიღო ბათომში გამოცემული გაზეთი: „მწვერვალი“ № 2.

„ლომისი“ სრ. საქ. მწერალთა კავშირის გაზეთი „ლომისი“ მორიგი ნომერი (მ3) გამოვა 29 აპრილს.

გიგო იორდანიშვილი 6 მაისს რუსთაველის თეატრში გიგო იორდანიშვილს უმართავენ დღესასწაულს ქართულ სცენაზედ მისი 25 წლის მოღვაწეობის გამო.

25 წელიწადი ემსახურება გიგო თავის სამშობლო თეატრს. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გამუდმებული მუშაობა შეადგენს ადამიანის სიცოცხლეში დიდი ჯაფას და დამსახურებას საზოგადოების წინაშე.

ამასთან შესანიშნავია ამ პატროსანი მუშაის მუშაობა მუყაითად, სიყვარულით, თავ გამოდებით, უშაუროდ.

თავდაბალ მუშაის არ უყვარს თავის თავზე ყვირილი, ქება, მის მუშაობას კი ხშირად არავინ ხედავს. გიგოს თიარტისადმი სიყვარული მარტო ზემოდ ხსენებული მოვალეობაში არ გამოიხატება და სიყვარულის შეტანას იგი ცდილობდა ფართო მასაში.

იმედია ფართე საზოგადოება და მუშები ღირსეულად დაუთხებენ ამ უანგარო მუშაის სასარგებლო შრომას.

გ. ჩ.

ქიათურა.

გერგაველის პიესამ: „დამზრალი წალკოტი“ დიდი მოწონება, შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე.

ლაქარბე სალექიო წიგნაკი № 1110 ტვილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტის მარიამ გორდენიანის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლაქარბე მოწმობა გაცემული ტვილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტ მარიამ ფოცხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პირი შინაწილი შემოწავს „გაეროვნული“ და „ჩემო მთავარე ეშხით ნარეგ მომდინარე“ და შემდეგ კი, რასაკვირველია, „გულით“ სრულდება და სხვა. საცოდავია ამ ლექსში დეზდემონა, რომელიც მართალია სიბრაულის ღირსია: „რა ნაზი ხარ, სხვას არ გავხარ, შენ მიყვარხარ ჩემო ნაზო დეზდემონა“. ამ ლექსში დეზდემონა რალაც შეუ-რიგებელია, რომლის გამართლება არც ალგორითულად და არც მეტაფორიულად არ შეიძლება. ყურადღების ღირსია სხვებთან შედარებით ამ ფურნალში ახალგაზრდა პოეტი რაში, რომელიც სხვებზე მაღლა სდგას. თავის ლექსი „კაცის ოთხი ზოლი“-თ, რომელიც მართალია პოეტური გრძნობის ნაყოფია, მაგრამ ლექს წყობა არ უფარვა. უკეთესი იქნებოდა ეს ლექსი პროზით. წუთი... ნაპერწკლების გაღვება, ტუჩთა წითელი ოთხი ზოლის, ელექტრონით სრბოლა ცენტრისკენ, ღელავთა ნახკვები, გაცდა ნეტარების, რომელსაც მარტო ოთხი ზოლი გრძნობს ყველა ეს პროზით უკეთესი იქნებოდა. საცოდავია, როცა ლამაზ ქალწულს გაცვეთილი ძონძები აცვია. ამ ლექსით შეგვიძლია გამოვისყიდოთ მისი დანარჩენი ნაწარმოები, რომელიც იქვეა მოთავსებული. გაუმთლეს-მინიატურა „მირის გამალებული“. გარდა ამისა მინიატურაში არის გრამატიკული შეცდომები და შეცდომაც ქართულის მხრივ. მაგ.: ბევრ ადგილას „მაგრამის“ ნაცვლად მეგრულ „მარას“ ხმარობს.

ფურნალში მოთავსებულია ლეო კვარაცხელიას მოთხრობა „ჩიჩის ბები“. როცა ამ მოთხრობას კითხულობ, გგონია თითქმის ამის დამწერი ლეო კვარაცხელია კი არა, ლეო ქიაჩელი იყოს. მაგრამ მარცხი, როგორც პოეტისთვის, ისე ბელეტრისტისთვის მოულოდნელი შემთხვევაა. როცა პეიზაჟი წაღმა სურათდება ავტორის სისუსტედ ჩაითვლება წვრილმანებზე გადასვლა. აგრეთვე ესთეტიკურად მიუღებელია, რომ ადამიანს პოეტი რეკლავებით გამოეკიდოს მოსაკლავათ; მიუხედავად იმისა, რომ ის ყოჩაღია. კაცის მოკვლის წყურვილი და პოეტის მოქმედება გრძნობას მოკლებულია და ვულგარული, რომელსაც ადგილი არ უნდა ქონდეს პოეზიაში. დასასრულ, საჭიროა ამ ფურნალისაგან განდგომილი ძალები განსაკუთრებით აკროლელები შეუერთდეს ამ ახალგაზრდობას და საერთო ძალის ინტენსიური შრომით გამოიკეს, თუ ამ ფურნალის მეორე ნომერი არა, სხვა რამე ახალი, რომელიც ამ ახალგაზრდობის ნაკლს გამოასწორებს და დაანახევებს საქართველოს სხვა ქალაქებს, რომ ზუგდიდს შეუძლია გამართლოს ის იმედები, რაზედაც ჩვენ ვემყარებით. პიერ კობახიძე.

ბელზე—აუთარებელი ხალხი დავსწრო. საზოგადოების თხოვნიტ განმეორებული იქნა. ოვაციები გაუმართეს მსახიობებს.

14 აპრილს 1923 წ. დანიშნულია ბენეფისი მსახიობ შალვა ხონელის, რომელსაც 10 წ. უსრულდება სასცენო მოღვაწეობა. წარმოდგენილი იქნება ალ-ლუმი. ქიათურის საზოგადოება მოელის ამ ბენეფისის დიდის ყურადღებით.

ახლო მომავალში გაიმართება შალვა დადიანის დღესასწაული.

დიდ სახალხო კონცერტს მართავს ამ თვის ბოლოს დამსახურებული სახალხო მომღერალი საზნდრო კავსაძე.

მაისში განზრახულია გასტროლები ნ. ჩხეიძის და ალ. იმედაშვილის.

თეატრის ფარდის დახატვისათვის და შინაარსისთვის მხატვარ. ტრუფანოვმა ჯილდო მიიღო 25 მილიონი.

წერილი რადაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „ტრიბუნა“-ში მოგვითავსოთ შემდეგი განცხადება:

1921 წლამდე ჩვენ ვითვლებოდით საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში, მაგრამ დაფრწუნდით რა, რომ მათი პოლიტიკური მუშაობა არ შეესაბამებოდა მშრომელთა ინტერესებს, დღეიდან სურვილი გვაქვს ვითვლებოდით საქ. მეზარც. სოც.-ფედ. სარ. პარტ. წევრად, რომელიც მედგრად იცავს მშრომელთა ინტერესებს.

ვარლამ ჯანჯღავა, ნიკოლოზ ჯანჯღავა.

რედაქტორი—სარედქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.